# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

29 თებერვალი ხუთშაბათი 2024 წელი

№9 (9323)

ფასი 40 თეთრი


## პენსიონერებს სესხის პროცენტი შეუმცირდებათ



**150 000-ზე** მეტ პენსიონერს სესხის პროცენტი შეუმცირდება, - ეს გადაწყვეტილება მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე მიიღეს, სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე** ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს **ნათია თურნავას** და „ლიბერთი ბანკის" გენერალურ დირექტორს **ბექა გოგიჩაიშვილს** შეხვდა.

ამ გადაწყვეტილებით, 150 000-ზე მეტ პენსიონერს, რომლებმაც სესხი აიღეს 2023 წლამდე, სესხის პროცენტი შეუმცირდებათ და გაუტოლდება იმ პროცენტს, რომელიც დაწესებულია 2023 წლიდან.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა, რომ აღსრულების ნაწილსა და კონკრეტულ დეტალებზე „ლიბერთი ბანკი" ეროვნულ ბანკთან ერთად გააგრძელებს მუშაობას.

საკითხის განხილვისას მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია დროულად დაიწყოს შემდეგი ეტაპი და პენსიონერებმა განახლებული პირობებით შეძლონ სარგებლობა.

## გენდერული კომისიის სხდომა



**21 თებერვალს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა გენდერული კომისიის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი.**

სხდომაზე იმსჯელეს დედის და ქალთა სადღესასწაულო დღეების საზეიმოდ აღნიშვნასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სხდომაზე ითქვა ქალებისადმი მიძღვნილი ღონისძიება განსაკუთრებული მზრუნველობის და ყურადღების ატმოსფეროში უნდა გაიმართოს. გადაწყდა შემუშავდეს ვრცელი პროგრამა საზეიმო დღეების შთამბეჭდავად ჩატარებისათვის.

სერიოზული სჯა-ბაასი გაიმართა „ბორჯომის საპატიო" მოქალაქეთა მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და ღირსეულად დაფასების თაობაზე.

ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით გააკეთა საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა.**

აღინიშნა, რომ საზოგადოების წინაშე ღვაწლმოსილ და ავტორიტეტულ ადამიანებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ „ბორჯომის საპატიო მოქალაქის" წოდება ადგილობრივი ხელისუფლებისგან მეტი ყურადღება და დაფასება ესაჭიროებათ. ამ მხრივ შემუშავებულია მეტად საინტერესო და შინაარსიანი პროგრამა. ღვაწლმოსილ ადამიანების მიმართ ყოველწლიურად გამოყოფილა გარკვეულ;ი თანხა მკურნალობისათვის. ითვალისწინებდა სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებებსაც. ამჯერად საკრებულო ითვალისწინებენ საპატიო წევრთა ბიოგრაფიების ილუსტრირებულ წიგნად გამოცემას, რათა შთამომავლობას შემოვუნახოთ მათი დამსახურებული წვლილი მშობლიური ქალაქისადმი.

შეხვედრის მონაწილეებში დიდი ინტერესი გამოიწვია აღნიშნულმა საკითხმა, ბევრს აინტერესებდა, რომელ წელს დაწესდა „ბორჯომის საპატიო მოქალაქის" წოდების მინიჭება, რამდენი საპატიო მოქალაქეა დღემდე არჩეული და სხვა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ბორჯომელების" თავმჯდომარემ, გაზეთ „ბორჯომის" რედაქტორმა **ვალერიან ლომიძემ** დაწვრილებით ისაუბრა საპატიო მოქალაქეთა არჩევის წესსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ბორჯომის საპატიო მოქალაქეთა არჩევის ისტორია იწყება 1974-1975 წლიდან. ბორჯომის პირველი საპატიო მოქალაქეები იყვნენ ბორჯომ-ბაკურიანში დასასვენებლად მყოფი საბჭოთა კოსმონავტები.

80-იანი წლებიდან საქართველოში და კერძოდ, ბორჯომში დამკვიდრდა სახალხო ზეიმის ჩატარების ტრადიცია, სადაც აირჩევდნენ საპატიო მოქალაქეებს.

დღემდე „ბორჯომის საპატიო მოქალაქედ" არჩეულია 112 მოქალაქე, აქედან გარდაცვლილია 71 მოქალაქე, ცოცხალი 41 მოქალაქე.

სამწუხაროდ, სია სრულყოფილი არაა და საჭიროებს დაზურტებას.

- ბორჯომის საკრებულოს გენდერული კომისიის ინიციატივას მივესალმებით და საზოგადოება „ბორჯომელების" წევრები აქტიურად ჩავერთვებით „საპატიო მოქალაქეთა" წიგნის მომზადება-გამოცემაში, - განაცხადა ვალერიან ლომიძემ

**მინაწერი: საზოგადოება „ბორჯომელები" მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინადადებას გულწრფელად მიესალმება და მზადაა, ღირსეული წვლილი შეიტანოს ამ მეტად საინტერესო გადაწყვეტილების პრაქტიკულ რეალიზაციაში. საზოგადოება „ბორჯომელების" გამგეობა „ბორჯომის საპატიო მოქალაქეებს" მოუწოდებს გაზეთ „ბორჯომის" რედაქციაში დროულად წარმოადგინონ თავიანთი ავტობიოგრაფიები და რამდენიმე სურათი. ასევე გარდაცვლილ „საპატიო მოქალაქეთა" ოჯახებს და მათ შთამომავლობას ვთხოვთ მოიტანონ თავიანთი წინაპრების ბიოგრაფიები და სურათები.**

**ბორჯომის შთამომავლობამ უნდა იცოდეს, ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც ღირსეული წვლილი შეიტანეს ბორჯომის განვითარებაში.**

**ძვირფასო მეგობრებო, ველით თქვენს გამოხმაურებას.**

## ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**2024 წლის 23 თებერვალს გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი.**

**დეპუტატებმა იმსჯელეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, ბორჯომის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოს საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესების დამტკიცების შესახებ";**

**ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მარშუტებისა და სამგზავრო მარშუტებზე ტარიფების დამტკიცების, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზებისა და ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი (უფასო) მგზავრობის შესახებ" 2023 წლის 26 აპრილის №18 დადგენილებაში".**

**თანხმობა გასცეს ქალაქ ბორჯომში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 64.02.10.026) სასტუმრო და გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე;**

**იმსჯელეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენისა და ტერიტორიული ზონირების განსაზღვრის შესახებ;**

**ცვლილებები შეიტანეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2019 წლის 15 მარტს გაფორმებულ №88 იჯარის ხელშეკრულებაში.**

**დეპუტატები დაეთანხმნენ მოთხოვნას ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის შესახებ;**

**დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ.**

**მოისმინეს საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარის ელზა კუჭუხიძის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;**

**ასევე მოისმინეს კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მ. ლურსმანაშვილის და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ს. თედელურის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;**

## მიმდინარეობს საკვირაო სკოლის მშენებლობა



**ჭიათურისა** და საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტ დანიელის ლოცვა-კურთხევით და წმინდა გაბრიელ აღმსარებლის და სალოსის სახელობის ტაძრის წინამძღვრის დეკანოზი ლუკას (რუსაძე) ინიციატივით და ხელმძღვანელობით ლიკანში მიმდინარეობს საკვირაო სკოლის მშენებლობა.

## მოგვემსახურებათ ახალი ავტობუსები



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის და ა(ა)იპ „ბორჯომის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სამსახურის ინიციატივით, 26 თებერვლიდან ბორჯომის მუნიციპალურ ტრანსპორტს დაბა ახალდაბის მიმართულება დაემატა.**

**დაბა ახალდაბის მიმართულებით ორი ახალი მუნიციპალური ავტობუსი საათში ერთხელ იმოძრავებს.**

**საზოგადოებრივ ტრანსპორტში საბარათე გადახდის სისტემა მუშაობს. ბორჯომი-ახალდაბის ღირებულება 40 თეთრს შეადგენს.**

**მგზავრობის ღირებულების გადახდა თიბისი ბანკის, საქართველოს ბანკის და სამგზავრო ბარათით იქნება შესაძლებელი.**

## თეორიული კონფერენცია ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

**25 თებერვალს ბორჯომის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა საქართველოს ოკუპაციისადმი მიძღვნილი თემატური საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქის №3 და №6 საჯარო სკოლის მოსწავლეები.**

**რუსეთის ოკუპაციისადმი მიძღვნილი საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა, ქალბატონმა ნაირა ამანათაშვილმა.**

თემის პრეზენტაცია გააკეთა №3 საჯარო სკოლის მოსწავლემ **ლიზი ადვაძემ** და ვრცლად ისაუბრა, თუ როგორ დაიპყრო რუსეთმა დამოუკიდებელი საქართველო.

მოსწავლეებმა **მარიამ გრიგალაშვილმა, ელისაბედ ბალიანმა, მარიამ ბუზალაძემ, ელენე გელაშვილმა, მარიამ დავითიანმა, ელენე ციცქიშვილმა** წაიკითხეს ოკუპაციისადმი მიძღვნილი თემები: **„თბილისის დაპყრობა რუსეთის მიერ", „იუნკერთა გმირობა", „შალვა ერისთავი", „მარო მაყაშვილი პირველი ქალი — ეროვნული გმირი", „გენერალი — გიორგი კვინიკაძე", „მოსახლეობის უდიდესი თანადგომა გმირებისადმი"**.

**მოსწავლეებმა ლიზი წიქარიშვილმა, თათია გოგოლაძემ, მარიამ ნოზაძემ, სანდრო თევდორაშვილმა, ნიკა გელაშვილმა, ლუკა კაპანაძემ** წარმოადგინეს რუსეთის ოკუპაციისადმი მიძღვნილი მონტაჟი, რომელსაც მეტად შთამბეჭდავი სახელი ერქვა **„ჩემო ათასჯერ დახვრეტილო, და მაინც უკვდავო საქართველო"** წაიკითხა პოეტ კოლაუ ნადირაძის ლექსი მიძღვნილი ოკუპაციისადმი **საბა კოსმა.**

რუსეთის ოკუპაციისადმი მიძღვნილ ღონისძიების მონაწილეებს და შეხვედრის ორგანიზატორებს, ქალბატონებს №6 საჯარო სკოლის დირექტორს **ქეთინო ხაჩიძეს** და ისტორიის პედაგოგს **ნესტან მახარაშვილ-გოგოლაძეს** მოსწავლეების შინაარსიანი გამოსვლისათვის მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის ღონისძიებების ჩატარების ორგანიზატორმა **ნანული სალაღაიამ.**

### აქტუალური ინტერვიუ

# საკრებულოს უდიდესი როლი აქვს მუნიციპალიტეტის მუშაობაში



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ერთობლივი ძალებით ცდილობენ იმ პრობლემების გადაწყვეტას, რაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით აწუხებს მოსახლეობას. წლის მანძილზე უამრავი ინფრასტრუქტურული, სოციალური თუ საგანმანათლებლო პროექტი ხორციელდება. ორი წელია, რაც მუნიციპალიტეტის საკრებულოში „გენდერულმა საბჭომ“ დაიწყო ფუნქციონირება, რომელმაც ამ წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა და რომლის თავმჯდომარეც ბატონი დავით ზაალიშვილი გახლავთ. ბატონმა დავითმა საკრებულოს სხდომაზე დამსწრეთ 2023 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგები წარუდგინა. რა სახის საკითხებზე ისაუბრა მან და რას გეგმავს საკრებულო 2024 წლისათვის ამ და სხვა საკითხების ირგვლივ მას ვესაუბრეთ:**

**– ბატონო დავით, რამდენად დიდი როლი აქვს მუნიციპალიტეტის მუშაობაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს?**

– მუნიციპალიტეტში მერია და საკრებულო არის საერთო ორგანიზმი. ვერც მერია გააკეთებს ვერაფერს საკრებულოს გარეშე და ვერც საკრებულო მერიის გარეშე. წლის განმავლობაში რასაც მერია ახორციელებს, საკრებულო ყველა იმ პროექტს ამტკიცებს და სრულ გვერდში დგომას უცხადებს. ამიტომაც მას უდიდესი როლი აქვს მუნიციპალიტეტის მუშაობაში.

**– თქვენ საკრებულოს 2023 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის ანგარიში წარადგინეთ. ძირითადად რომელ საკითხებს გამოყოფდით? და რა გავლენა იქონია საკრებულოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაზე?**

– 2023 წელს უამრავი სახის პროექტი განხორციელდა, რომლის გამოყოფაც გამიჭირდება. საკრებულო თითოეულ დეპუტატთან ერთად აქტიურად მუშაობს მთელი წლის მანძილზე იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რაც მოსახლეობას აწუხებს და რომლის გადაწყვეტაც აუცილებლობას წარმოადგენს.

**– მუნიციპალიტეტში დასრულდა ქ. ბორჯომში და სოფლებში ქუჩების და უბნებისთვის სახელების მინიჭების საკითხი. თუმცა, სამწუხაროდ, ახალი დასახლებების აზრები არაა გამოკრული.**

– პირველ რიგში გეტყვით იმას, რომ ჯერჯერობით სრულად არ დასრულებულა ქუჩების სახელდება. ადმინისტრაციულ ერთეულებში ნახაზს აგზავნის საჯარო რეესტრი და მხოლოდ ამის საფუძველზე იღებს მუნიციპალიტეტი ქუჩის მინიჭების საკითხს. 2023 წელს სრულად მოვრჩით ყვიბისის, ტბისა და ახალდაბის ადმინისტრაციული ერთეულებისათვის სახელების მინიჭებას. ზემოთ აღნიშნულ სოფლებში, სადაც უკვე დასრულდა ქუჩებზე სახელების მინიჭება, აზრებისთვის გამოცხადდება ტენდერი და თვენახევარში მაქსიმუმ ორ თვეში აღნიშნული საკითხი მოგვარდება. ორ სკვერში იგეგმება მემორიალური დაფის განთავსება და რა თქმა უნდა, აზრებთან ერთად დამზადდება აღნიშნული დაფებიც. ამ ეტაპზეც მიმდინარეობს მუშაობა წაღვერის ადმინისტარციულ ერთეულზე.

**– 2022 წლიდან აქტურად დაიწყო მუშაობა საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭომ“, რომლის თავმჯდომარეც თქვენ ბრძანდებით. ამ ორი წლის მანძილზე უამრავი პროექტი განხორციელდა. რომელ მათგანს გამოყოფდით და სამომავლოდ რა სახის პროექტების განხორციელება იგეგმება?**

– მთელი წლის მანძილზე საბჭომ უამრავი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. აქტიურად ვხვდებით მოსახლეობას ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებში. ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ქალბატონების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათ ვეუბნებით, რომ მათ თანაბარი უფლებები აქვთ როგორც მამაკაცებს, რომ მათი ხმა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მამაკაცების. ვაცნობთ იმ პროექტებს, რასაც საკრებულო ახორციელებს და რომლებიც მომავალში იგეგმება. რამდენიმე დღის წინ გვქონდა საბჭოს სხდომა, სადაც დავსახეთ ორი თვის სამუშაო გეგმა და 2024 წლიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რასაც საბჭო განახორციელებს. იგეგმება ბორჯომის საპატიო მოქალაქეთა შესახებ წიგნის გამოცემა, რომელიც ჩვენი ბორჯომის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

**– ბორჯომის მუნიციპალიტეტმა რამდენიმე სახელმწიფოსთან (ბალტიისპირეთი, პოლონეთი და სხვ) ქალაქებთან მემორანდუმი გააფორმა. ასევე ხელშეკრულება გაფორმდა ყაზახეთთანაც. როგორია ამ ხელშეკრულების შედეგები და როგორია კავშირები აღნიშნულ სახელმწიფოებთან?**

– ბოლო მემორანდუმი, რომელიც ყაზახეთთან გავაფორმეთ, ვთვლი, რომ აღნიშნული ფაქტი ნამდვილად სასიკეთოდ წაადგება ჩვენ ქალაქს. ჩვენი ინტერესია ბევრი ტურისტი ჩამოვიდეს აღნიშნული ქვეყნიდან, ასევე ბიზნესსექტორს თუკი სურვილი ექნება, ინვესტიცია განახორციელოს. მემორანდუმი პირველ რიგში ითვალისწინებს დამეგობრებულ ქალაქთან უსაფრთხოების შეგრძნებას და იმას, რომ თუკი ის აქ ჩამოვა, ქვეყანა და მუნიციპალიტეტი მას მხარდაჭერას აღმოუჩენს. ვგეგმავთ სასტუმროების მესვეურებთან შეხვედრას, რათა იმ ქალაქებთან, რომლებთანაც მემორანდუმი გვაქვს გაფორმებული, სტუმრებს, მომსახურების მხრივ ფასდაკლების სერვისები შესთავაზონ. ახალგარზდებისთვისაც იგეგმება გაცვლითი პროგრამები, რათა სკოლის მოსწავლეებისთვის იყოს ხელმისაწვდომი აღნიშნული ქვეყნების კულტურისა და ყოფის გაცნობა. ვთვლი, რომ ბევრი სიკეთის მომტანია არსებული მემორანდუმები. რაც მეტი ტურისტი შემოვა, ბევრი ინვესტიცია დარჩება მუნიციპალიტეტს და ქვეყანას.

**– ახალი 2024 წლიდან კიდევ რომელი პროექტების განხორციელებას გეგმავს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო?**

– მერია და საკრებულო არის ერთი ორგანიზმი, ამიტომაც ერთობლივად უამრავ პროექტს ვახორციელებთ და წელსაც ცენტრალური ხელისუფლებისა თუ ადგილობრივი ბიუჯეტით ის გეგმა, რაც მთელი წლის მანძილზე უკვე გაწერილია მაქსიმალურად გვინდა შევასრულოთ, იგეგმება მუნიციპალური ტრანსპორტის დამატება და გეტყვით, რომ კერძო ტრანსპორტი ბორჯომის მუნიციპალიტეტში აღარ იქნება. სოციალურ პროექტებში შევიტანეთ ცვლილებები, ზოგი გავაფრთოვეთ. მნიშვნელოვანია სტუდენტების დაფინანსების პროგრამა, რომელსაც წელსაც გავაგრძელებთ.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

### რუბრიკის პრეზენტაცია

# პოლიტიკური პროცესების კვალდაკვალ

### გიორგი ფერაძის პოლიტიკური არჩევანი

**გაზეთი „ბორჯომი“ იწყებს ახალ რუბრიკას სახელწოდებით - პოლიტიკური არჩევანი. ჩვენ ვსვამთ შეკითხვებს და ვიღებთ პასუხებს თანამდებობის პირებისგან, ასევე თავიანთ მოქალაქეებისგან, რომლებიც ღიად აფიქსირებენ თავიანთ პოლიტიკურ არჩევანს. მინიმუმ სამი არგუმენტია საჭირო, იმისათვის რომ გვითხრათ, რატომ მიიჩნევთ სწორ გადაწყვეტილებად თქვენს პოლიტიკურ არჩევანს?.**

**ჩვენი ახალი რუბრიკის პირველი სტუმარი გახლავთ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი გიორგი ფერაძე.**

**– გვითხარით, როგორია თქვენი პოლიტიკური არჩევანი?**

– ჩემი პოლიტიკური არჩევანი პირველად 2006 წელს დავაფიქსირე, მაშინ, როდესაც მიმაჩნდა და ასეც იყო, რომ იმ დროინდელი ხელისუფლება იყო დიქტატორული, მოძალადე, მჩაგვრელი რეჟიმი და არაფერი ჰქონდა საერთო დემოკრატიულ მმართველობასთან, მაშინ, როდესაც ადამიანის ნება თუ თავისუფლება უგულებელყოფილი იყო, მივიღე გადაწყვეტილება, რომ ამ რეჟიმის წინააღმდეგ უნდა ჩავრთულიყავი პოლიტიკურ პროცესებში. თავდაპირველად, როგორც სამოქალაქო აქტივისტი, შემდეგ პოლიტიკური პროცესების უშუალო მონაწილე. 2011 წლიდან, როდესაც ბატონ ბიძინა ივანიშვილმა დააანონსა პარტიის შექმნა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა, „ქართული ოცნები“-ს გუნდის წევრი ვარ. ჩემი პოლიტიკური არჩევანია, თავისუფლება, დამოუკიდებლობა, მშვიდობა, განვითარება და ევროპული მომავალი, ანუ ის, რასაც ქართული ოცნების ხელისუფლება ახორციელებს.

**– მოგვიყვანეთ, მიმიმუმ სამი არგუმენტი, თუ რატომ არის გიორგი ფერაძის არჩევანი სწორი გადაწყვეტილება?**

ისტორიულად საქართველოსათვის და აქ მცხოვრები ადამიანებისათვის უმნიშვნელოვანესია თავისუფლება - დღეს საქრთველოში, ისე, როგორც არასოდეს თავისუფლების ხარისხი მაღალია.

– განვითარებისთვის, მშვიდობა და სტაბილური გარემო უალტერნატივოა, დღეს ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ერთითაც და მეორეთიც. საქართველოში ამ ყველაფრის შემოქმედი, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება რომ არის, ყველასათვის ცნობლია.

ხელისუფლება, ნებისმიერ დონეზე, (ვგულისხმობ ხელისუფლების შტოებს), უსმენს საზოგადოებას, ღებულობს მათ წინადადებებს, შენიშვნებს, მათ შორის კრიტიკასაც და ღებულობს შესაბამის გადაწყვეტილებას. ეს დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი გამოვლინებაა.

**– გთხოვთ, გაიხსენოთ წინასაარჩევნო პეროიდში მომხდარი ფაქტი, რომელმაც თქვენზე დადებითი ემოცია დატოვა?**

– როგორც ზემოთ აღვნიშნე, 2006 წლიდან ვარ ჩართული საარჩევნო პროცესებში, თითქმის ყველა არჩევნებში მაქვს მონაწილეობა მიღებული, ზოგიერთ მათგანში ორგანიზების კუთხითაც, ზოგიერთში უშუალოდ ვღებულობდი მონაწილეობას, რა თქმა უნდა, თითეულ მათგანს თავის დაუვიწყარი ემოცია ახლავს, თუმცა 2012 წლის საპარლამენტო არჩვენები ამ კუთხით განსაკუთრებულია, მთელი წინა საარჩევნო პერიოდი, განსაკუთრებულად დაძაბული და შეიძლება ითქვას. სახიფათოც იყო, ვინაიდან იმ დროინდელი ხელისუფლებისაგან მოსალოდნელი იყო ძალის გამოყენება, პრაქტკულად ყველა ხერხს მიმართავდნენ, რომ ძალაუფლება შეენარჩუნებინათ, გამარჯვების შინაგანი რწმენა ყველას გვქონდა, თუმცა, როდესაც 2 ოქტომბრის გამთენიისას საბოლოო შედეგი დაფიქსირდა, ეს იყო დიდი გამარჯვება. უფრო ზუსტად, თავისუფლების მოპოვება. ამ ზეიმის უმთავრესი შემოქმედი გახლავთ ბატონი **ბიძინა ივანიშვილი.**

**– თქვენი პოლიტიკური გამოცდილებიდან, ყველაზე უარყოფითი ამბავი, რომელიც გახსოვთ?**

– ეს გახლავთ 2004-2012 წლების საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. გარკვეული პოლიტიკური ძალებისაგან ხშირად ისმის ხოლმე, რომ 2004-2012 წლების პერიოდი ეს უკვე ისტორიაა და ამ პერიოდს უნდა დავანებოთ თავი, მაგრამ თქვენი კითხვის ზუსტ პასუხს ის პერიოდი გამოხატავს და კიდევ, მოვიშველიებ ილია ჭავჭავაძის ფრაზას „აწმყო - შობილი წარსულისაგან“ არის მშობელი მომავლისა“.

**დოსიე: ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრი, გეოგრაფიის სერთიფიცირებული პედაგოგი (უფროსი მასწავლებელი).**



**სამუშაო გამოცდილება:**

**2023 წლიდან კორტანეთის საჯარო სკოლის პედაგოგი;**

**2021 წლიდან ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;**

**2019 წლიდან ბორჯომის №3 საჯარო სკოლის პედაგოგი;**

**2018 წლიდან ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს ბორჯომის საოლქო ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანი;**

**2017-2021 წწ. ბორჯორმის საკრებულოს დეპუტატი და ფრაქცია „ქართული ოცნება დემკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;**

**2016-2020 წწ. ტაძრისის საჯარო სკოლის პედაგოგი;**

**2014-2017 წწ. ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;**

**2012-2014 წწ. ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი.**

**2008-2010 წწ. ბორჯომის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ტაძრისის თემიდან. ოპოზიციური ფრაქცია - დემოკრატიული პარტიის ბორჯომის თავმჯდომარე;**

**2005 წელი ბორჯომ-ხარაგეულის ეროვნული ტყე-პარკი - გიდი.**

**2001-2005 წწ. არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ახალგაზრდული ასოციაციის ბორჯომის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი და გამგეობის წევრი.**

**–როგორია თქვენთვის მისაღები პოლიტიკა და როგორი უნდა იყოს კარგი პოლიტიკოსი?**

სახელმწიფოს მმართველობის ფორმა და პოლიტიკური იდეოლოგია, რა თქმა უნდა, დემოკრატიული მმართველობის ფორმაა და სრულად ვემხრობი საპარლამენტო რესპუბლიკის იდეას. პოლიტიკას ქმნიან პოლიტიკოსები, და ზუსტად ისეთია პოლიტიკური პროცესები, როგორი პოლიტიკოსებიც არიან ამ პროცესში.

პოლიტიკოსობა ესაა საჯარო მმართველობის უნარი და შესაძლებებლობები. გაუნათლებელ ადამიანს, ვერ ექნება, ვერც უნარი და ვერც შესაძლებელობები, ვერ ექნება ფართო თვალსაწიერი, არ იქნება ჰუმანური და პროგრესული აზრები, ვერ ექნება სიახლეების აღქმისა და სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარი. მიმაჩნია, რომ პოლიტიკოსი განათლებულთან ერთად უფლის არსებობაში ღრმად უნდა იყოს დარწმუნებული.

**– როგორ ბორჯომში ისურვებთით ეცხოვრათ თქვენს შვილებს?**

– ბორჯომი ნებისმიერ დროს მიყვარს და მეყვარება, მის მიმართ სურვილები ამოუწურავი მაქვს, თუმცა როგორც აღვნიშნე, განათლება არის ის იარაღი, რომელიც გაძლევს შესაძლებელობას მსოფმხედველობა, თვალსაწიერი და ფანტაზია გაიათმაგო, მიიღო სწორი და დროული გადაწყვეტილებები, მინდა ჩემი შვილების და ყველა სხვა თაობისთვის განათლების მიღება უმთავრესი პრიორიტეტი იყოს, ასეთი თაობები შექმის ისეთ გარემოს და ზუსტად ისეთ ბორჯომს, სადაც ნებისმიერი თაობისათვის ცხოვრება და საქმიანობა სიხარულის მომტანი იქნება.

მოამზადა **იზა იანვარაშვილმა**

# ყველაფერს შოუდ ნუ გადავაქცევთ



**XXI საუკუნეში იმაზე მეტი ინფორმაციის საშუალება არსებობს, ვიდრე წლების წინ იყო, თუმცა საქმე იმაშია, რომ თუკი სატელევიზიო სივრცეში არსებულ გადაცემებს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ თითქმის ყველა ერთმანეთის იდენტურია. ამდენი არაფრის მთქმელი დილის და საღამოს შოუები, სადაც მხოლოდ ერთი და იგივე და უმეტეს შემთხვევაში მუდამ მსგავსი თემების ირგვლივ ისმის მსჯელობა, მართლა ყოვლადმიუღებელია ჩემთვის და რაც მთავარია, დამღლელია. უკვე დიდი ხანია, რაც თვალს ვადევნებ დღევანდელ ქართულ სატელევიზიო შოუებს და უბრალოდ გაოცებას ვერ ვმალავ, რადგანაც იმაზე მეტი წამყვანი ზის სტუდიაში, ვიდრე მოწვეული სტუმარია. ყველაზე დიდი საშინელება იცით კიდევ რა არის? ეს ვითომ წამყვანები, რომელთა უმრავლესობაც მსახიობები და მომღერლები არიან, იქნებ იმაში მაინც შეთანხმდნენ, რომ ან კითხვის დასმა დააცადონ ერთმანეთს და ან პასუხის გაცემა რესპონდენტს.**

***ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ტელესივრცე მსახიობებისათვის შემოსავლის წყაროდ და ფულის შოვნის საუკეთესო საშუალებად არის გადაქცეული და კიდევ იმაშია ჩვენი უბედურება, რომ ყველა სატელევიზიო შოუს პროდიუსერი თუ რეჟისორი დაინტერესებულია, მსახიობი ან მომღერალი დაასაქმოს საკუთარ გადაცემაში. სწორედ ამაშია ჩვენი უბედურება, რომ სწორედ ასეთი ადამიანები უკარგავენ ინტერესს ახალგაზრდებს.***

**მოწოდებით ჟურნალისტებს ამ მეტად საინტერესო და საკმაოდ საპასუხისმგებლო ჟურნალისტის პროფესიისადმი... თუკი მაინც და მაინც ყველა გადაცემა მსახიობმა ან მომღერალმა უნდა წაიყვანოს, რისთვისაა საჭირო ჟურნალისტიკის სწავლა, მისი საფუძვლიანი პრინციპებისა და წესების შესწავლა? რომლის იქითაც ჟურნალისტს არ აქვს უფლება, რომ ზღვარს გადავიდეს. აი მსახიობებისა და მომღერლების ზღვარგადასულობაზე კი საუბარიც ზედმეტად მიმაჩნია. უბრალოდ, უყურეთ, თვალი ადევნეთ დღევანდელ სატელევიზიო შოუებს და მიხვდებით, რაზეც ვსაუბრობ. მართლაც სირცხვილია ეს ყოველივე. იქნებ მეტი ეფიქრათ, ვიდრე ფულს იშოვიან, დაფიქრებულიყვნენ, ყველაფერს მართლა მხოლოდ შოუდ ნუ გადააქცევენ.**

**ნატო მელიქიძე**

რუბრიკის პრემიერა — ვისი გორის ხარ!

# ხ ა ჩ ი ძ ე ე ბ ი უფრთხილდებიან წინაპართა ხსოვნას

**გვარების შესახებ საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ ერთ-ერთი ქადაგებისას განაცხადა, — „ყველამ უნდა იცოდეს თავისი გვარის ისტორია, როდიდან მოდის მისი გვარი და რა ვითარებაა გვარში“. აქედან გამომდინარე რედაქციამ გადაწყვიტა ბორჯომში მცხოვრები გვარების ისტორიის გამოქვეყნების ტრადიციას ჩაეყაროს საფუძველი.**

**ახლა, როცა მინიმუმამდე შემცირდა ქართული რიცხოვრობა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გამოქვეყნებული წერილებით ხელი შევუწყოთ ქართული გვარების გამრავლების საკითხებს.**

**დღეს გთავაზობთ ბორჯომის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ მრავალარიცხოვან ხაჩიძეების გვარის ისტორიას.**

**საქართველოში** არსებული დღევანდელი გვარების უმრავლესობა, ცნობილი დემოგრაფების ავთანდილ სილაგაძისა და ანზორ თოთაძის კვლევების თანახმად, დაახლოებით XIV-XV საუკუნეებიდან მომდინარეობს. ისტორიის დოქტორის, როლანდ თოფჩიშვილის გამოკვლევით კი ქართული გვარები დოკუმენტურად VIII საუკუნიდან დასტურდება. მისივე ცნობით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველებს მანამდე გვარები არ ჰქონდათ.

როდის და სად წარმოიშვა გვარი „ხაჩიძე“; როგორი იყო მისი განსახლების არეალი; როდიდან, რატომ და რა მიმართულებით მოხდა თანამოგვარეთა ადგილმონაცვლეობა - ამ საკითხების კვლევისთვის ხაჩიძეთა საგვარეულო კავშირმა დიდი გულმოდგინება გამოიჩინა და რამდენიმე მეცნიერის ნაშრომს საკუთარი კვლევაც დაურთო.

ხაჩიძეთა წარმომავლობა მეცნიერთაგან პირველად აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს დაუფიქსირებია. „ბორჯომის ხეობის დღიურში“, რომელიც 1947 წლით თარიღდება, ვკითხულობთ: „ვიდრე ძეგლს (იგულისხმება კიმოთი ეკლესია) ვათვალიერებდით, ჩვენთან ვინმე ხაჩიძე მოვიდა, დაბელი კოლმეურნე. მათი გვარის (ხაჩიძეთა) სადაურობა ვკითხე. „პაპაჩემისაგან გამიგონია, რომ ხატის მოსალოცავად ის ნარას (ე.ი. დვალეთს, ნ.ბ.) დადიოდა; ჩვენი წინაპარი ძველ დროსვე მოსულა ქართლში, წაქვსა და ბიჯნისს სახლებულან სურამის თავზე, შემდეგ ზოგი ხეობაში წამოსულა, ზოგი აქვე დარჩენილა. აქ, დაბაში, ყველა მოსულია ქართლიდან (თედიაშვილი, მესხიძე, ლომიძე) და ვინ იცის საიდან“.

როლანდ თოფჩიშვილისა და სხვა მეცნიერთა კვლევების თანახმადაც, გვარი ხაჩიძე წარმოშობით დვალეთიდან, ნარას ხეობიდანაა, რომელიც უწინ საქართველოს ეკუთვნოდა. ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის შემდეგ (XV საუკუნის მეორე ნახევარი) დვალეთი ქართლის სამეფოში შედიოდა. მას სამეფო კარის მიერ დანიშნული მოურავები განაგებდნენ. მაგალითად, XVII საუკუნეში დვალეთი შედიოდა გიორგი სააკაძის სამოურავოში, თბილისსა და ცხინვალთან ერთად.

1859 წელს მეფის რუსეთმა დვალეთი თბილისის გუბერნიას ჩამოაჭრა და თერგის ოლქს გადასცა. ამჟამად დვალეთი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზეა.

ბატონ ბატონ როლანდის კვლევით, კავკასიის მთების აქეთ გვარი ხაჩიძე (ადრინდელი ფორმით „ხაჩიური“) დვალების რამდენიმე ათეულ გვართან ერთად XVI საუკუნიდან შემოსულა. მაგრამ ყველას არ აქვს ხსოვნა თავიანთი ყოფილი საცხოვრისის შესახებ, გარდა იმ გვარებისა, რომელთა ფუძეში იკითხება სიტყვა „დვალი“, აგრეთვე - ქართულ წყაროებზე თვალის გადევნებით ირკვევა, როგორ მოხდა თანდათან ტერმინ „დვალეთის“ „ოსეთით“ ჩანაცვლება. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ეს ორი ტერმინი ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება... XVI საუკუნეში ქართველი მთიელი დვალები თანდათან ეთნიკურმა ოსებმა შეცვალეს, რომლებიც აქ ალაგირის ხეობიდან გადმოსახლდნენ. XVII საუკუნის ბოლოს დვალეთში, ფაქტობრივად, დასრულდა ადგილობრივ ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის (ტერიტორიული ერთეულის), დვალების ასიმილაცია ოსების მიერ. დვალების ასიმილაცია



განაპირობა იმან, რომ ისინი მიგრირებულ ოსურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში უმცირესობაში აღმოჩნდნენ, რადგან ოსთა ხშირი თარეშის, მეკობრეობის შედეგად, დვალები საქართველოს სხვადასხვა მხარეში გაიფანტნენ. თუმცა, როგორც ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა დვალეთის ზოგიერთ ხეობაში ეთნიკური ტრანსფორმაციის პროცესი დიდხანს გაგრძელებულა..“ - წერს რ. თოფჩიშვილი. იგი აღნიშნავს, რომ ეს ფაქტი თავის წიგნში დადასტურებული აქვს ოს ეთნოლოგს, ბორის კალოევს, რომელიც ზახას ხეობიდან იყო, სადაც ადგილობრივები ორივე ენაზე საუბრობდნენ, ოსურზე და ქართულზე.

იგივე დასტურდება საგვარეულო კავშირის კვლევითაც. ნარას ხეობაში XX საუკუნის 60-იან წლებში ორენოვნება ჯერ კიდევ არსებობდა, ადგილობრივები ქართულად და ოსურად მეტყველებდნენ.

ხარაგაულის რაიონის სოფ. წაქვაში მცხოვრებ ხაჩიძეებს გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ჯერ კიდევ ჰქონდათ დვალეთთან მიმოსვლა. ისინი სოფელ ნარში, საიდანაც წაქვაში გადმოსახლდნენ, ჩადიოდნენ წმინდა გიორგის ტაძრის მოსალოცად. იქ მათ ყოფილი ხაჩიძეების ოჯახი მასპინძლობდა, თუმცა უკვე გაოსებულები, გვარად ხასიევები. ხსოვნა თავიანთი წინაპრების შესახებ ხასიევებს შენარჩუნებული ჰქონდათ. 70-ან წლებში წაქველთა მორიგი სტუმრობისას, ხასიევების ოჯახის თავკაცი უკვე 90 წელს მიტანებული ყოფილა. ვიდრე ღრმად მოხუცდებოდა, იგი წაქველებს პერიოდულად სტუმრობდა-ხოლმე და ეს მთელმა სანათესაომ იცოდა. იმჟამად მოხუცს სახლში ჰყავდა შვილი, სახელად ასლანბეგი და ობოლი ძმისშვილი, ზახარი, რომელიც ორჯონიკიძის რაიკომში მუშაობდა რაღაც თანამდებობაზე. ზახარს ფოსტიდან დაურეკეს და ისიც გვიან ღამე ჩასულა ნარში სტუმრების მოსანახულებლად. მთელი ღამე გაუთენებიათ თავიანთ წარსულზე საუბარში...

ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ნარიდან წაქვაში ჩამოსახლებულ ხაჩიურებს წმინდა გიორგის სალოცავიდან ქვა ჩამოუტანიათ. გასული საუკუნის 50-იან წლებში წაქველ ხაჩიძეებს იმავე სალოცავიდან ქვა მეორედ ჩამოუტანიათ, სოფელში დაუფლავთ, ზედ ჯვარი და ფიცრული ნაგებობაც დაუდგამთ. მოგვიანებით კი მის გვერდით აგურის სალოცავიც აუშენებიათ. ორივე სალოცავს წაქვაში მცხოვრებნი, სოფლის მკვიდრი სხვა გვარების ჩათვლით, ნარის წმინდა გიორგის სახელით მოიხსენიებენ. სამეცნიერო წრისთვის ამ არტეფაქტების შესახებ ცნობილი არ იყო; ამაზე ინფორმაცია მას საგვარეულო კავშირმა მიაწოდა.

2016 წლის 8 მაისს წაქვაში კომუნისტების მიერ დანგრეული ტაძარი აღდგა. მის აღდგენაზე მთელი სოფელი ზრუნავდა. ძირითადი დამფინანსებელი ამავე სოფლის მკვიდრი,ბებიით ხაჩიძე, ჯიმშერ ტყემალაძე გახლდათ, იდეის სულისჩამდგმელი და თანადამფინანსებელი — ხაჩიძეთა საგვარეულო კავშირი.

აღნიშნული ტაძრის აღდგენის სურვილი სოფელში საგვარეულო წმინდა გიორგის ხატის ჩაბრძანების შემდეგ გაჩნდა, რომელიც ხაჩიძეთა გარდა, სოფლის მცხოვრებმა ყველა სხვა გვარებმაც ისტუმრეს.

წაქველთა გარდა, საგვარეულო ხატს თითქმის მთელი საქართველოს ყველა კუთხეში განფენილმა თანამოგვარეთა ოჯახებმა უმასპინძლეს...

ხატისკაცობის ძირითადი მტვირთველები არიან: ბორჯომის რეგიონში **გია და ანასტასია ხაჩიძეები,** ახალციხის მასშტაბით - საყუნეთში მცხოვრები გელა ხაჩიძე, ხაშურის რეგიონში - გენო, ვასილ და მზია ხაჩიძეები, თბილისსა და რუსთავში - დალი ხაჩიძე, ლაგოდეხში - დათო და ლია ხაჩიძეები.

თანამოგვარენი აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ისეთ შეკრებებში, როგორიცაა: მეტეხის ხიდზე 100 000 მოწამისადმი პატივის მიგება, ოჯახის სიწმიდისადმი მიძღვნილი მსვლელობა, კრწანისის გმირთა ხსოვნის დღე და სხვა.

2021 წელს გამოიცა საკმაოდ ტევადი საგვარეულო წიგნი სათაურით „ხაჩიძეები“. გვარის ისტორიის გარდა, მასში თავმოყრილია თავიანთი საქმიანობით სხვადასხვა ასპარეზზე გამორჩეულ თანამოგვარეთა ბიოგრაფიები (მათ შორის მეომერთა და წარმატებული ახალგაზრდების); სახლიკაცთა შემოქმედებისა და სპორტული მიღწევების, მოსწავლეთა წარმატების ამსახველი მასალა და სხვა...

წიგნის შედგენაში განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, ხარაგაულის რაიონის ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებლის, ზაირა ხაჩიძის წვლილი. მისმა მოწოდებულმა ისტორიულმა დუკუმენტმა მეფე გიორგი III-ის მიერ წაქველებისადმი გაცემული შეუვალობისა და გადასახადებისაგან გათავისუფლების სიგელმა (შემდგომში მეფე დავით ნარინის განახლებულმა), განამტკიცა თუში თანამოგვარის მონათხრობი ბახტრიონის ბრძოლაში ორი წაქველი ძმის მონაწილეობაზე. ამ ისტორიიდან ირკვევა თუშეთში ხაჩიძეთა დამკვიდრების ისტორია.

ხსენებული სიგელი ეხება წაქველთა და მთლიანად ხეფინიხეველთა დამსახურებას სამშობლოს წინაშე. სოფ. წაქვას სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობა უკავია და მის მკვიდრთ გარეშე მტრისთვის არაერთხელ გაუწევიათ სერიოზული წინააღმდეგობა, რის შედეგად ბრძოლის სასწორი საქართველოს სასარგებლოდ გადაუწონიათ კიდეც.

ამჟამად მეორე საგვარეულო წიგნი იწერება, რომელშიც ზემოთ ჩამოთვლილ საკითხთა გარდა, უტყუარი ინფორმაცია იქნება წარმოდგენილი დვალეთის, როგორც ყოფილი ქართული მიწა-წყლის შესახებ. გამოკვლევის ავტორი გახლავთ ქალბატონი



**დალი ხაჩიძე,**
**„ხაჩიძეთა საგვარეულო კავშირის“ წინამძღოლი**

---

სელფი

## გაუფრთხილდი მას, ვინც შენ გაუფრთხილდება



**გაზეთ „ბორჯომის“ მკითხველთ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე, სოფლის მეურნეობის მართვის საკითხებში, ბატონ თემურ მელიქიძე, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული და საუკეთესო სპეციალისტია და პატივსაცემი პიროვნებაა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მასთან ყოველთვის პოზიტიური კითხვებით გვინდა ურთიერთობა, თემაც ის ამჯერად რუბრიკა „სელფის“ სტუმარია.**

**- რას ფიქრობთ ამ წუთში?**

- ამ წუთში მეფიქრება ადამიანების მიერ წარმოთქმულ თბილ ფრაზებზე, რომელთა უკანაც გამანადგურებელი ორპირობა იმალება.

**- რა არის თქვენთვის ყველაზე დიდი ღირებულება?**

- ყველაზე დიდი ღირებულება სინდისია.

**- როცა ადამიანი გენდობა...**

- როცა ადამიანი გენდობა, არაადამიანი უნდა იყო, რომ უღალატო.

**- მართალ და მატყუარა ადამიანს როგორ შეაფასებთ?**

- ვაფასებ მართალ ადამიანს, თუნდაც მტერი იყოს და მძულს მატყუარა, გინდ შვილი იყოს.

**- ყველაზე უკეთ რა გეხმარებათ ადამიანის ამოცნობაში?**

- ადამიანის ამოცნობაში მეხმარება დრო.

**- სიყვარულის მარადიულობას სად ხედავთ?**

- სიყვარული ბებიასა და შვილიშვილს შორის მარადიულია, ასევე დედა-შვილობაში.

**- რა უნდა შეძლოს კაცმა?**

- სიცოცხლე უნდა შეძლოს, თორემ სიკვდილი ისედაც გარდაუვალია.

**- რას ნიშნავს თქვენთვის ადამიანის პატიოსნება?**

- როცა გული სუფთა გაქვს, ღმერთი შენსკენაა, როცა ღმერთი შენსკენაა, შეუძლებელი არაფერია.

**- რას კარგავთ ყველაზე ხშირად?**

- უმიზნოდ დაკარგულ დროს.

**- რა არის თქვენთვის ცხოვრება?**

- ცხოვრება დავალებაა, რომელიც ჯერ არავის მოუგვარებია შეცდომების გარეშე.

**- ყველაზე დიდი მსაჯული...**

- ყველაზე დიდი მსაჯული ღამეა, რომელიც ტყუილის ფიქრს არ მოგცემს და ამ ფიქრით გათენდება. დილით კი თვითონაც მიხვდებით, როგორი მკაცრი ყოფილა მსაჯული.

**- თქვენი ოქროს წესი...**

- გაუფრთხილდი მას, ვინც შენ გიფრთხილდება.

**ესაუბრა ნატო მელიქიძე**

---

## „სადაც მხეცი ჰყეფს, იქ ოჯახის ანგელოზი გარბის“

**ძაღლი მიეკუთნება მტაცებელთა რიგს!!!**
**ადამიანმა ადვილად შეძლო მისი მოთვინიერება და მისი ფუნქციების სხვადასხვა მიზნით გამოყენება:**

**მაძებარის ფუნქციები ნადირობისას;**

**საჭაპანო ფუნქციები (მცირე ტვირთებისა და მარხილებში ჩაბმა);**

**დარაჯის ფუნქცია;**

**ყველაზე ცნობილი და უძველესი ფუნქცია, რაც ძაღლებს აკისრიათ, ესაა შინაური ცხოველების დაცვა (მეცხვარე ძაღლი, იგივე ნაგაზი). გარკვეული ჯიშები გამოიყენება კრიმინალურ ორგანოებში, სამაშველო სამსახურებშიც და გამოირჩევა განსაკუთრებულად განვითარებული ყნოსვით - ზოგიერთი მონაცემით, ძაღლებს შეუძლიათ 40 ათას სხვადასხვა სურნელის გარჩევა-დამახსოვრება.**



**არსებობს ასევე დეკორატიული ჯიშები, ამ ჯიშების ძაღლებით ცდილობენ სითბოს დეფიციტის დაძლევას ადამიანები (ალბათ...) და საკმაოდ ტრენდულ კომერციულ წყაროდაც იქცა.**

**ძაღლი ადამიანის ერთგული მეგობარია!**

**გ ა ვ ი გ ე !!!!**

**გავიგეთ!!**

**ვიცით!!!**

**ამიხსნას ვინმემ, რატომ დადიან ქუჩებში ბინძური მაწანწალა ძაღლები???? რისთვის არიან საჭირონი???? რა დანიშნულება აქვთ??**

მსოფლიო გაგიჟდა რვამილიარდი ადამიანის რაოდენობრიობაზე და ხელოვნური გამანადგურებლებია ჩართული მათ მოსაკვდინებლად, ამას ვხედავთ თითქმის ყოველ დღე...

და ძაღლებს, თურმე თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ და მოვეფეროთ.

რატომ უნდა მხვდებოდეს ჩემს სასიარულო გზაზე, სკამებზე, სკვერებში, მოსაცდელებში, სადარბაზოებში, ჩემი კარების საფეხზე, რატომ უნდა იწვეს და სიბინძურეს და ბეწვებს ყრიდეს და ეს ნორმალური იყოს???

ან, რა ტვინი უნდა ედოს ადამიანს თავში, როცა კითხვას სვამს - „რატომ გეშინია“, მტაცებელთა ცხოველისადმი შიში, თურმე არანორმალურია და ზემოთჩამოთვლილი - ნორმალური?!

**ვინ მოგვისაჯა?**
**რა მიზნით?**
**ან რა მცნებაა „ძაღლთმოძულეობა? საიდან დამკვიდრდა?**

„ძაღლთმოძულეობა თავისთავში მოიცავს ძაღლისადმი სიყვარულის ვალდებულებას, რაც ირიბი ძალადობაა!!!!

ადამიანების დაცვის უფლებებს გადაჭარბებული ძაღლების უფლებები მიზანმიმართული პროგრამის ნაწილი მგონია, რომელიც შიშში ცხოვრების დანერგვას და მხეცური ცხოვრების თანაზიარობას მოიაზრებს. ეს არის მორიგი ტვინგამოსარეცხი, ტრენდული ჰუმანიზმით კარგად შეფუთული პროექტი, რომლის მიზანი ადამიანის უკანა საფეხურზე გადაყვანის მორიგი ხერხია.

**სასწრაფოდ მიიღეთ ზომები და შესაბამისი კანონები ადამიანების დასაცავად!!!!**

**არც ერთი, ტვინგარეცხილი „ჰუმანისტი არ შემომიხტეს აქ!!!**

**ადამიანებს მიხედეთ!!! ადამიანებს!!!!**

**ნინო სოტივარი-ლომიძე**

## მადლობა

15 წლის ლუკა გოჩას ძე ლომიძემ 2023 წლის ნოემბერში ავტოავარიის შედეგად მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება და ამჟამად ფეხის დამბლით იმყოფება თბილისის რეაბილიტაციის ცენტრში.

გაზეთ „ბორჯომის“ საშუალებით ლუკას მშობლები და ახლობლები მადლობას ვუხდით ბორჯომის №2 ჩამომსხმელი ქარხნის ყველა თანამშრომელს, რომლებმაც გულთან მიიტანეს ლუკას ავადმყოფობა და დახმარების ხელი გამოუწოდეს, რათა 16 წლის ახალგაზრდა ფეხზე დადგეს და სიარული შეძლოს.

ერთხელ კიდევ მადლობა მათ დახმარებისათვის და გვერდში დგომისათვის, რომლებმაც სხვისი ტკივილი გაიზიარეს.

უფალი ფარავდესმათ ოჯახებს, ამინ!

**გიორგი ელიზბარაშვილი, ნინო დონაძე, მშობლები: გოჩა და ელისო ლომიძეები.**

ჭადრაკი

## თეა _ ჩემპიონი ვაჟებში ბარბარე _ ჩემპიონი გოგონებში

16-18 თებერვალს ქ. ახალციხეში გაიმართა სამცხე-ჯავახეთის პირადი პირველობა ჭადრაკში 9-10 და 13-14 წლის ასაკის გოგონებსა და ჭაბუკებს შორის. ამჯერად უკვე უფროსი ასაკის გოგონებს და ჭაბუკებს შეებნენ ბორჯომის სპორტსკოლის მოჭადრაკე — მოსწავლეები: **ბარბარე შონია და თეა რუსიტაშვილი**. 11 წლის ბარბარე 13-14 წლის გოგონებს შეერკინა, ხოლო 10 წლის თეა (მას 11 წელი 5 ივნისს უსრულდება) 13-14 წლის ჭაბუკებს.

ბორჯომელი გოგონები აქაც შეუდარებლები იყვნენ. ბარბარემ ხუთივე პარტია მოიგო და მეშვიდედ გახდა სამცხე-ჯავახეთის ჩემპიონი. თამ ოთხი ვაჟი დაამარცხა, მხოლოდ ერთთან ითამაშა ყაიმი და უფროსი ასაკის ვაჟებში მანაც სამცხე-ჯავახეთის ჩემპიონობა მოიპოვა. (უკვე - მეორედ!).

მართლაც შთამბეჭდავი წარმატებაა! ისინი დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით და სიგელებით. წინ ახალი სიმაღლეებია დასაძლევი!

**უშანგი ჯანგირაშვილი.**
მწვრთნელი

## პოეზიის კუთხე

## ვიცხოვროთ შორსმჭვრეტელობით



გურამ ქუნცელის ბრძნულ აზრებს
ნუ შევაქცევთ გვერდსა,
იქნებ ვის სად გამოგვადგეს
ვით ნაჯახი გლეხსა.
პატიოსნება გვერჩივნოს
ყველგან ყველაფერსა,
სიბოროტით-სიგლახითა
თვით გავიჩენთ მტრებსა.
ნუ დავკარგავთ მეობასა,
ჭკუას-გონებასა,
კარგი სახელი გვერჩივნოს
ყოველ ქონებასა.
ბრმად არავის არ მივენდოთ
არც ჭირში არც ლხინში,
ჩვენს თავს თვითონ ჩვენ მივხედოთ
ყოველ გასაჭირში.
ვერიდოთ ყოველ სიგლახეს,
საზიზღრობას, შარსა,
ცხოვრება რთული რამეა,
გავუფრთხილდეთ თავსა.
ჩვენი ეკალი გვერჩივნოს
სხვების ყვავილნარსა,
ისე ვით თავისუფლება
საპყრობილის ნარსა.
სადაც არ გვეკითხებიან,
იქ ნუ ჩავყოფთ ცხვირსა,
არამკითხე ნუ გავხდებით,
წავიმტვრევთ ცხვირსა.
მოთმინება ვიქონიოთ
ყველგან ყველაფერში,
რაც არ უნდა თავს გადაგვხდეს
მოყვრებში თუ მტრებში.
ვიცხოვროთ შორსმჭვრეტელობით,
წინდახედულობით,
ყოველ ერის სიყვარულით,
მეგობრობით, ძმობით.
არ ავცდეთ ცხოვრების გზაკვალს,
ნათელსა ლამპარსა,
რკინა ჟანგს შეუჭამია,
კაცი ჯავრს და დარდსა.
სადაც ვიყოთ, როგორც ვიყოთ,
ვიყოთ ვაჟკაცურად,
ცოდვებით სავსე ქვეყანა
განვლოთ მამაცურად.
ისედაც წუთისოფელი
სასტუმროა ჩვენი.
ჩვენა ვართ მისი სტუმრები,
მეტი არაფერი.
დროთა სვლაში, ჟამთა ცვლაში
შეგვეცვლება ფერია,
დღესა ვართ, ხვალ არ ვიქნებით,
ჩვენც მოგვივა ჯერი.

**გურამ ქუნცელი-ივანიძე,**
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

## სიბრძნის კიდობანი

## მთავარი ადამიანობა და ღირსებაა

ყველაფერი რაც გაქვთ დროებითია.

სხვებს არაფრით ჯობნიხართ, თქვენი დღევანდელი მდგომარეობა შემთხვევითობის შედეგია.

დრო გააქრობს თქვენს ფულს, თანამდებობას კარგ მანქანას, ყველაფერს რაც მატერიალურია მთავარი ადამიანობაა, ღირსება, სიყვარული და კაცოვბა. მათ ვერაფერი წაგართმევთ.

ეს არასდროს არ უნდა დაგავიწყდეთ.

**გელა ჩარკვიანი**

## ვეტერანი ყინულოვან ტრასებს არ ეშინდება





წლის 25 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული იყო წერილი ვეტერან სამთო-მოთხილამურის ბატონ **ელგუჯა ორჯონიკიძის** საზღვარგარეთ გამართულ ტურნირზე მიღწეული წარმატების შესახებ.

87 წლის ვეტერანი წლებს არ უშინდება და კვლავ განაგრძობს ტურნირებში მონაწილეობას. სულ ახლახანს, თებერვლის დასაწყისში ბატონმა ელგუჯამ იტალიის მთებში — კორტინალამპეცოს მეტად რთულ ტრასაზე გამართულ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და გიგანტურ სლალომში საპატიო მესამე ადგილი დაისაკუთრა.

სხვათა შორის ამ ტურნირში ბაკურიანელმა ვეტერანმა, საქართველოს ნაკრების გუნდის მწვრთნელმა, ბატონმა გერა აბრამაშვილმა პირველად მიიღო მონაწილეობა და საპრიზო ადგილის მიღმა დარჩა და მეთხუთმეტე ადგილს დაჯერდა..

ტრადიციულ შეჯიბრებაში 280 ვეტერანი სამთო-მოთხილამურე მონაწილეობდა.

ვეტერანი სამთო-მოთხილამურე ამჯერად ავსტრიის ალპებში წასასვლელად ემზადება.

გზა დავულოცოთ უბერებელ ელგუჯა ორჯონიკიძეს და წარმატებები ვუსურვოთ რთული ტრასების დაძლევაში.

**ვალერიან ლომიძე.**

## აჭარაში საქართველოს რეგიონალური სამთო-სათხილამურო თასის შეჯიბრი გაიმართა



**17-18 თებერვალს** გოდერძის უღელტეხილზე 2024 წლის საქართველოს რეგიონალური სამთო-სათხილამურო თასის პირველი ეტაპი გაიმართა სლალომსა და გიგანტურ სლალომში. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღეს: აჭარის, გუდაურის, თბილისის, ბაკურიანისა და მესტიის ნაკრებმა გუნდებმა. სამთო-მოთხილამურეებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან სამ ასაკობრივ ჯგუფში იასპარეზეს. ბაკურიანელი ახალგაზრდა სპორტსმენებიდან წარმატებას მიაღწიეს: **ანასტასია ვიბლიანმა** (მე-3 ადგილი), **ნელი უსტიმენკომ** (პირველი ადგილი), **ნინო გეორქოვმა** (პირველი და მე-2 ადგილი), **ირაკლი აბესაძემ** (მე-3 ადგილი), **ნიკოლოზ გოგოლაძემ** (პირველი და მე-3 ადგილი), **ოთო ხვედელიძემ** (მე-3 ადგილი). შეჯიბრის შემდეგ სპორტსმენები საზეიმო ვითარებაში დაჯილდოვდნენ.

აჭარის სათხილამურო ფედერაციამ და აჭარის სპორტის დეპარტამენტმა პირველებმა უმასპინძლეს საქართველოს რეგიონალურ სამთო-სათხილამურო თასის ეტაპს, სლალომსა და გიგანტურ სლალომში. სწორედ შეჯიბრების ძალიან კარგი ორგანიზებითა და დიდი ძალისხმევით, მიუხედავად უამინდობისა, შეჯიბრება წარმატებით ჩატარდა. საქართველოს რეგიონალური თასის ეტაპი საქართველოს სათხილამურო ფედერაციის ეგიდით და მთის ტრასების სააგენტოს პარტნიორობით ჩატარდა. საქართველოს სათხილამურო ფედერაციის გენერალური სპონსორია კომპანია „სილქნეტი“. საქართველოს თასის ეტაპების მედია პარტნიორი „ევრო ნიუს საქართველო“. ამით დასრულდა 2024 წლის საქართველოს თასის პირველი ეტაპი. აპრილში კი საქართველოს სამთო-სათხილამურო ჩემპიონატი გუდაურშია დაგეგმილი.

## მედიცინის მუშაკებს ხელფასები გაეზარდათ

**2024 წლის პირველი იანვრიდან სამედიცინო პერსონალის საათობრივი მინიმალური ანაზღაურების რეფორმა განხორციელდა.**

**მინიმალური სახელფასო ზღვარი დაუწესდა შემდეგ პოზიციებზე დასაქმებულ სამედიცინო პერსონალს:**

**უმცროსი ექიმი** — თვეში, არანაკლებ 960 ლარი (საათში - 5 ლარი) დარიცხული;
**ექთნის თანაშემწე** — თვეში არანაკლებ 672 ლარი (საათში — 3,5 ლარი) დარიცხული;
**ბებიაქალი** — თვეში, არანაკლებ 844 ლარი (საათში - 4,4 ლარი) დარიცხული;
**სანიტარი** — თვეში არანაკლებ 576 ლარი (საათში - 3 ლარი) დარიცხული;

ახალი რეგულაციით, ხელფასის ზრდა 6000-მდე პირს შეეხო და შედეგად რეფორმა სტაციონარულგანყოფილებაში დასაქმებულ ყველა პირზე აისახა რეფორმის პირველ ეტაპზე, 2023 წლიდან წარმატებით დაინერგა მინიმალური ანაზღაურება ექიმებისა და ექთნებისთვის, შედეგად, 15 000-მდე პირს გაუუმჯობესდა სამუშაო პირობები.

საყოველთაო პროგრამების პირობებში სტაციონარული კომპონენტით ჩართული ყველა კლინიკა ვალდებულია, სამედიცინო პერსონალის სახელფასო ანაზღაურება, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი, მინიმალური ზღვარის გათვალისწინებით დაადგინოს.

პროცესს მონიტორინგს შრომის ინსპექციის სამსახური უწევს.

## ზურა აივაზოვის ტკივილიანი გახსენება



19 თებერვალი ყველაზე სევდიან დღედ იქცა ჩვენს ცხოვრებაში. უკვე მეხუთე წელია ჩვენს გვერდით აღარ ხარ... რა უცებ მიფრინავს დრო... შენზე მოგონებებით ვცდილობთ იმ ტკივილის ჩახშობას, რასაც უშენობა ჰქვია... ფიქრებში გესაუბრებით, გეფერებით... შენი სურათების თვალიერებით ვცდილობთ იმ ლამაზი წამების აღდგენას, რასაც შენთან ყოფნა ერქვა, შენი არყოფნის ტკივილი კი არასოდეს, არაფრით ნელდება... რაც დრო გადის უფრო მეტად დიდია შენი არყოფნით გამოწვეული სიცარიელე... ვერაფერი გაანელებს უშენობის ტკივილს... ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები... დროის სვლა გვაიძულებს, შევეგუოთ უშენოდ არსებულ ყოველდღიურობას, თუმცა ვერაფერი ერევა შენს მონატრებას... გვაკლიხარ... გვენატრები ტკივილამდე, გვიყვარხარ... ნათელში იყოს შენი ლამაზი სული...

**შენი ოჯახი**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი. რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru

რედაქტორი: ვალერიან ლომიძე